საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№83 (6309) ხუთშაბათი 12 ივლისი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

ეს დღეები სოფლად

ყანებს მეორედ თოხნიან

ტვიშის კოლმეურნეობაში მიმდინარეობს სიმინდის ნათესების მეორედ დამუშავება. ამ საქმეში დაწინაურდა №2 ბრიგადა, რომელსაც გრიშა გაბიძაშვილი ხელმძღვანელობს.

იჯარით აღებულ ფართობებში მეორე თოხნა უკვე დაამთავრეს თენგიზ ასათიანმა, ლეო, გურამ კენჭაძეებმა, გრიშა გაბიძაშვილმა და სხვებმა.

ბრიგადის წევრთა გადაწყვეტილებაა სიმინდის ფართობების სანიმუშო მოვლით წელს ჰექტარზე გეგმიური 23 ცენტნერის ნაცვლად 30 ცენტნერი სიმინდი მოიწიონ, ამით საკუთარი სიტყვა თქვან სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

7 ივლისს შესვენების შემდეგ სხდომა მიმდინარეობდა მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით.

ყრილობამ განაგრძო დასმულ კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პასუხის მოსმენა. ყრილობის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ: ი. კ. ლიგაჩოვი—სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ე. ა. შევარდნაძე—სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მთელ რიგ დელეგაციათა წინადადებით, ამით დამთავრდა პასუხების შემდგომი მოსმენა.

შემდეგ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელმა ვ. ა. ივაშკომ მოახსენა ყრილობას, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ სკკპ XXVIII ყრილობის რეზოლუციის პროექტზე, და წაიკითხა იგი.

აზრთა წინასწარი გაზიარების შემდეგ ყრილობამ სარედაქციო კომისიას დაავალა დაამუშაოს ეს დოკუმენტი გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით და წარმოუდგინოს ყრილობის დელეგატებს.

1990 წლის 8 ივლისს მოსკოვში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა. იგი მიმდინარეობდა პლენარული სხდომების ფარგლებს გარეთ.

დელეგატებმა საფუძვლად მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ სკკპ XXVIII ყრილობის რეზოლუციის პროექტი.

შემდეგ სხდომაზე გაიმართა აზრთა გაზიარება ზოგიერთ მიმდინარე და პროცედურულ საკითხზე.

შემდეგ კითხვებზე პასუხი გასცეს: ა. ა. ნიზოვცევამ—სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, და ნ. ე. კრუჩინამ—სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა.

ყრილობამ დაამტკიცა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

შესვენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა და ცნობად მიიღო ი. ა. მანაენკოვის—სკკპ XXVIII ყრილობის სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით ზოგიერთი დელეგატის უფლებამოსილებათა შემოწმების შესახებ.

დელეგატებმა ყოველმხრივ განიხილეს და მიიღეს ყრილობის შემდეგი რეზოლუციები:

„თანამედროვე ეტაპზე პარტიის სამხედრო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ";

„დემოკრატიულ უფლებათა დასაცავად, კომუნისტთა დევნის წინააღმდეგ";

შემდეგ სიტყვა მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. ნ. იაკოვლევს, რომელმაც გააპროტესტა დელეგატთა ჯგუფთან მისი ერთ-ერთი შეხვედრის შესახებ ყრილობაზე არაოფიციალურად გავრცელებული ცნობები და ამას ყოვლად უსაფუძვლო მონაჭორები უწოდა.

მიცემულია დავალება გაერკვნენ ამ განცხადების ფაქტების გამო.

კითხვებზე პასუხი გასცა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ვ. ა. კრიუჩკოვმა.

საღამოს სხდომაზე, რომელსაც ა. ი. ლუკიანოვი თავმჯდომარეობდა, დელეგატები შეუდგნენ სკკპ წესდების პროექტის განხილვას.

ინფორმაცია ყრილობის მონაწილეთა მიერ შეტანილი ცვლილებების და დამატებების შესახებ გააკეთა კომისიის ხელმძღვანელმა, მ. ს. გორბაჩოვმა. ყრილობამ პარტიის წესდების პროექტი მიიღო საფუძვლად, რის შემდეგაც დაიწყო შესწორებებისა და შენიშვნების დეტალური განხილვა.

წინ დიდი საქმეებია

შეხვედრა საზოგადოება „ლეჩხუმის" საინიციატივო ჯგუფისწევრებთან

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უმშვენიერესი კუთხეა ლეჩხუმი, თავისი მცხოვრებლებითა და ბუნებით, მაგრამ კუთხის დღევანდელობა მრავალი რთული პრობლემითაა დამძიმებული, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში მომხდარი სტიქიური მოვლენებით, მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გართულებით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებით, მიგრაციული პროცესების გააქტიურებით. ყოველი შათგანის გადაჭრა კი რაიონის ხელმძღვანელთა და ადგილობრივ მკვიდრთა ძალასა და რესურსებს აღემატება.

ამიტომ კუთხის გარეთ მცხოვრებმა ლეჩხუმელებმა გადაწყვიტეს ჩამოეყალიბებინათ საზოგადოება „ლეჩხუმი" და სიტყვა საქმედ აქციეს. როგორც ცნობილია, ამას წინათ ქალაქ თბილისში ჩატარდა საზოგადოება „ლეჩხუმის" დამფუძნებელთა ჯგუფის კრება, რომელმაც დაადგინა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი საზოგადოება „ლეჩხუმი", რომლის მიზანი საქველმოქმედოა.

შეკრებაზე არჩეულ იქნა საინიციატივო კომისია 28 ამანათის შემადგენლობით, რომელიც მოამზადებს ყრილობას. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ მეთოდეს ძე მახარობლიძე, თავმჯდომარის მოადგილედ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ავთანდილ ნოღარის ძე სილაგაძე, მდივნად—ამავე უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის №1 კათედრის დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი როზეტა მიხეილის ასული ასათიანი.

იმისათვის, რომ საინიციატივო ჯგუფი კიდევ უფრო ახლოს გაცნობოდა ლეჩხუმის დღევანდელ ცხოვრებას, პრობლემებს, 6 ივლისს ეწვია ლეჩხუმს, შეხვდნენ ადგილებზე მშრომელებს. შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის სხდომათა დარბაზში შეხვდნენ რაიონის აქტივს, ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა **ე. კ. გუგავამ.**

საზოგადოება „ლეჩხუმის" საინიციატივო ჯგუფის და კომისიის მიზნებსა და ამოცანებზე, საზოგადოების მომავალი ყრილობისათვის მზადების საკითხებზე ისაუბრა საინიციატივო კომისიის თავმჯდომარემ პროფესორმა **რევაზ მახარობლიძემ.**

საზოგადოება „ლეჩხუმის" წესდების პროექტი შეხვედრის მონაწილეებს გააცნო საინიციატივო კომისიის მდივანმა **როზეტა ასათიანმა.**

რაიონის წინაშე მდგარი სოციალურ - ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული პროგრამა წარმოადგინა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა **ე. კ. გუგავამ.**

საზოგადოება „ლეჩხუმის" საინიციატივო კომისიის მუშაობის, ყრილობისათვის მზადების, საზოგადოება „ლეჩხუმის" წესდების, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის და სხვა საკითხების შესახებ აზრი გამოთქვეს აკაკი ჩიქოვანმა, შალვა კვირკაშვილმა, მიხეილ ყურაშვილმა, გულნაზი კოპალიანმა, ბორის ხეცურიანმა, გიორგი ჯიაძემ, დიდიმ სვანიძემ და სხვა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ საინიციატივო ჯგუფის წევრები რეზო ნემსაძე, მიხეილ გვიშიანი, ტარიელ ალავიძე და სხვები.

შეხვედრაზე გამოიკვეთა აზრი, რომ საინიციატივო კომისიამ კიდევ უფრო დახვეწოს საზოგადოება „ლეჩხუმის" წესდება და შემდეგ გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ და რაიონულ გაზეთებში, რაიონის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული პროგრამიდან გამომდინარე საზოგადოება „ლეჩხუმის" საინიციატივო კომისიამ ცალკე შეიმუშაოს საზოგადოების კონკრეტული პროგრამა და წესდებასთან ერთად შეიტანოს დასამტკიცებლად საზოგადოების ყრილობაზე, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს ქალაქ თბილისში.

სკკპ XXVIII ყრილობა: რა გვინდა, რას ვოველით?

რეალური დაბოუკიდებლობისათვის

„დღეს" მთელი საბჭოეთის „შრომელთა თვალ-ყური მიპყრობილია მოსკოვში ყრილობათა სასახლისაკენ, სადაც მიმდინარეობს სკკპ 28-ე ყრილობა, რადგან ყრილობა რადიკალური გარდაქმნის გზით ჩვენი წინსვლის ნიშანსვეტია, ძველსა და ახალს შორის წყალგამყოფია, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა.

ყრილობამ მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში სკკპ 28-ე ყრილობისადმი და პარტიის ამოცანები", „აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების, ცენტრალური კომიტეტის მდივნების ანგარიშები, ყრილობაზე მომუშავე სექციათა წარმომადგენლების ინფორმაციები, რიგ დელეგატთა გამოსვლები, რომლებშიც აღძრულია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, შინაპარტიული ცხოვრების არაერთი საჭირბოროტო საკითხი.

ყრილობისადმი ასეთი ინტერესი ხავსებით გასაგებია, ხალხი მისგან ელოდება ისეთ განსაკუთრებულ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მდგომარეობის ნორმალიზაციას, დაძაბულობის განმუხტვას, ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

დღეს თითოეული ქართველის ოცნების — რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენის, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყრილობის მუშაობის შედეგებს. თითქმის ყველა ქართველის მოწონება დაიმსახურა ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გუმბარიძის გამოსვლამ. რომელშიც ნათლადაა ჩამოყალიბებული საქართველოს კომპარტიის პოზიციები, რომლის მიზნად გაცხადებულია რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენა სათანადო კონსტიტუციური მექანიზმის, პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის დამკვიდრების რეალისტური პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის გზით. ამასთან ყველას მოწონება დაიმსახურა აზრმა, რომ საქართველოს კომპარტია თავის მდგომარეობასა და ავტორიტეტს საზოგადოებაში მაშინ შეინარჩუნებს, თუ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს ორგანულად შეუსაბამებს ქართველი ხალხის ინტერესებსა და მისწრაფებებს. საქართველოს კომპარტიამ უნდა მიაღწიოს დამოუკიდებლობას, მაგრამ „ეს არ ნიშნავს გათიშვას, განზე გადგომას. „როგორც ჩვენი პარტიის ლიდერი სამართლიანად აღნიშნავს დამოუკიდებელი კომპარტიების ჭეშმარიტად თანასწორუფლებიანი ურთიერთკავშირი და თანამშრომლობა—ეს განზე გადგომა კი არა, არამედ ერთმანეთისაკენ, პარტიის განახლებისაკენ გადადგმული ნაბიჯია.

განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებს ამხ. გ. გუმბარიძის გამოსვლიდან დასასრულს დაყენებული ერთი საკითხი: „ხომ არ ჩაითრია ჩვენი საზოგადოება დაუსრულებელი ფუჭსიტყვაობის მორევმა და ხომ არ გვავიწყდება მთავარი—კონკრეტული საქმეები. სწორედ მათ მიხედვით და არა ჩვენს მიერ მიღებული რეზოლუციების რაოდენობით იმსჯელებს ჩვენზე პარტია, ხალხი".

სწორი და „სამართლიანია. ლაპარაკი, მოწოდებები, სხვისი შეგონებანი ვისწავლეთ და კრებაა, მიტინგია, თათბირი თუ სხვა ღონისძიება, ხელმძღვანელი თუ რიგითი სხვისაგან მოითხოვს წესრიგს, დისციპლინას, შრომას, თვითონ ბევრს არაფერს აკეთებს. არადა რამდენი დაუსაქმელი ახალგაზრდა თუ ხანდაზმული გვყავს ქალაქად თუ სოფლად, რაც ეტყობა ჩვენს სახალხო მეურნეობას, ნახევარი წლის შედეგებს. კიდევ მეტი, რიგ წარმოება-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში იმატა შრომის დისციპლინის დარღვევამ, სამუშაო საათების უნებართოდ გაცდენამ, სამუშაო საათებში ქუჩაში თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უსაქმოდ დგომამ.

დროა მართლაც საქმეზე გადავიდეთ, მივხედოთ უპირველეს ყოვლისა დისციპლინას, ყველამ, სადაც ვმუშაობთ, პირნათლად ვაკეთოთ საქმე.

ნ. ნემსაძე.

ერთ მუშტად ნელი უნდა შეკრა

საქართველოს კომუნისტურ პარტიას თავისი მოლოდინი აქვს ახლანდელ ყრილობისაგან, ითქვა გ. გუმბარიძის გამოსვლაში სკკპ XXVIII ყრილობაზე, რომელსაც ასე დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს.

მთლიანად ვეთანხმები ამ აზრს, მაგრამ დიდი იმედი ნურავის გვექნება ნურც ცენტრის და თუ გნებავთ, ნურც ყრილობის. ჩვენ რაც გვიჭირს და რაც გვიშველის, ჩვენზე უკეთ არავინ იცის. გვიშველის ერთი აზრი და ერთიანი მისწრაფება, ერთ მუშტად შეკვრა და არა გათიშულობა, არა ურთიერთ ჩხრეკა და განქიქება, არამედ მიტევება და სიკეთე.

საქართველოს კომპარტიის მდგომარეობისა და ავტორიტეტის შენარჩუნება დღეს, მრავალპარტიულობის პირობებში, არ უნდა იყოს თვითმიზანი. ავტორიტეტი და ხალხის ნდობა მოიპოვება საქმით, დემოკრატიული გზით, ეროვნული პლატფორმითა და მართალი პოზიციით.

გ. ნემსწვერიძე.

მხოლოდ შრომა და სიკეთე

„დღეს მხოლოდ რეალურად დამოუკიდებელ და თვითმყოფად რესპუბლიკურ კომპარტიას ძალუძს გამოხატოს მთელი ხალხის ნება და ინტერესები, წარმატება მოიპოვოს მრავალპარტიულ არჩევნებში და განახორციელოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის ჩვენს მიერ შემუშავებული პროგრამა. ეს გულახდილად უნდა ითქვას და არ უნდა ამოვეფაროთ ვითომდა მხსნელ, მაგრამ ძირეულად მცდარ ფორმულას, რომლის თანახმად, ცენტრალიზმი თითქოსდა გვაერთიანებს, ხოლო თავისთავადობა და დამოუკიდებლობა გვთიშავს"—ხაზგასმით გამოიკვეთა ეს აზრი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გუმბარიძის გამოსვლაში სკკპ 28-ე ყრილობაზე. სწორედ დამოუკიდებელი საქართველოა ქართველი ერის ოცნება და საფიქრალი.

მართლაც, დადგა დრო, როცა ქაღალდებით, დადგენილებებით, რეზოლუციებით, როგორც ეს გუმბარიძემ აღიარა, ვეღარ მოატყუებ ხალხს. საქართველომ უნდა მიაღწიოს რეალურ დამოუკიდებლობას, ჭეშმარიტ თავისუფლებას. მაგრამ ამას მივაღწევთ იმით, თუ საქართველოს კომპარტია თავის მიზნებსა და ამოცანებს დაუკავშირებს ერის ინტერესებსა და მისწრაფებებს. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი დღევანდელი მდგომარეობა ამის იმედს არ გვაძლევს. მოიშალა დისციპლინა და კანონიერება, მეფობს განუკითხაობა, ძალმომრეობა და ქაოსი, გაიზარდა დანაშაულობანი.

ადამიანს სჭირდება რწმენა და ხვალის იმედი. რომელ ჭკუათმყოფელს არ უყვარს საშობლო, ან ვის სჭირდება მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სისტემა, მაგრამ მარტო მიტინგებით, საპროტესტო აქციებით ვერაფერს გავხდებით. ახალგაზრდობის დიდ ნაწილს მშობლების ხარჯზე სურს ჭამოს და იცხოვროს. აბა, გვეკადრება ის, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ტრიალებს? დამოუკიდებელ საქართველოს გამოადგება უცოდინარი ექიმი? ახალგაზრდების კი არა, ბრალი ჩვენი, რომ მათ არ სწამთ ჩვენი, უფროსი თაობის, ხელმძღვანელობის, რომლებიც ობიექტურად განსჯიან ყოველივეს. ერთი სიტყვით, ძნელია მივაღწიოთ ჩვენ სანუკვარ საერთო მიზანს, თუ დიდმა და პატარამ საკუთარი ამბიციებით ვიმოქმედეთ.

დავფიქრდეთ, ხალხო! შრომა და სიკეთე თუ გადაგვარჩენს.

მ. გურული.

იქნებ ახლოგელია?

300 ათასი ქართველი შეიწირა მეორე მსოფლიო ომმა. ქართული სისხლი ჩაიქცა რუსეთისა და უკრაინის თვალუწვდენ ტრამალებში, ბელორუსიის უსიერ ტყეებში, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ველ-მინდვრებში. ქართველ ვაჟკაცთა მხარჭკლავები შეკმა უცხოეთის მიწამ. უზომო სისხლისა და ცრემლის ფასად — უგზოუკვლოდ დაკარგული უამრავი მებრძოლი, საძმო საფლავები, უსახელო ჯარისკაცთა ნეშტები, მოლოდინად შთენილი ახლობლები. უსახელოა ეს ტკივილიც, სამანდაუდებელი და მხოლოდ ზოგჯერ, ახლად აღმოჩენილი იშვიათი გვარ-სახელის გაგონებისას ყუჩდება ოდნავ—დაკარგულის საფლავის მიგნებას ისე აღვექვამთ, თითქოს მკვდრეთით აღმდგარიყოს. იგი. დიახ, იშვიათად. მაგრამ მაინც, საქართველოს გარეგან მოსულ კონვერტებს მოაქვთ ქართული გვარ-სახელები. ახლახან რედაქციაში მოვიდა წერილი, რომლის ავტორი. უკრაინელი ლეონიდ ალექსანდეს ძე იგნატენკო გვაცნობებს ახლადაღმოჩენილი საძმო საფლავისა და იქ დამარხული რამდენიმე ქართველის შესახებ.

ლ. იგნატენკო ნიკოპოლის საძიებო ჯგუფის ხელმძღვანელია. იგი მოგვმართავს თხოვნით, მოვძებნოთ ჯგუფის მიერ აღმოჩენილ პიროვნებათა ოჯახები, ახლობლები. „დაე გაიგონ,— მის მიერ მოწოდებულ მასალას: „ნიკოპოლის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის საძიებო ჯგუფმა „პოისკმა" დაადგინა 1943 წლის 21 დეკემბერს ნიკოპოლის ტერიტორიაზე არსებული სიმაღლე 167,3 „მაგილა ნეჩაევა"-სათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ მეომართა ადრე უცნობი საფლავი. დაღუპულთა შორის არიან ჩვენი ქართველი ძმები—თქვენი თანამემამულეები:

კნორგობია(?) ვარლამ თედორეს ძე, დაბადებული 1925 წელს, ცაგერის რაიონის ს. ლადგისში(?). გაწვეულია ცაგერის რაიონული სამხედრო კომისარიატის მიერ. დაღუპა 21. 12. 1943 წ სიმაღლე 163,7-თან, დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლის რაიონის სოფელ ლებედინსკოეში.

ალოვიძე(?) შაქრო თედორის ძე, დაბადებული 1925 წ. ცაგერის რაიონის სოფ. საკირმაში(?) გაიწვია ცაგერის რაიონულმა სამხედრო კომისარიატმა. დაღუპა 21. 12. 1943 წ. სიმაღლე 167, 3-თან, დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლის რაიონის სოფ. ლებედინსკოეში.

მიქაძე ვარლამ ტ. დაბადებული 1925 წელს ცაგერის რაიონის სოფ. გუგუნიათში(?). გაიწვია ცაგერის რაიონულმა სამხედრო კომისარიატმა. დაღუპა 1. 12. 1943 წ. სიმაღლე 167, 3-თან, დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლის რაიონის სოფ. ლებედინსკოეში.

კიდევ ერთი საძმო საფლავი

გვწერს იგი.—სად განისვენებს მათი ნათესავის ნეშტი, ეს ტკივილი ხომ ახლაც არ ქრება, 46 წლის შემდეგ. მით უფრო, როცა არ იცი, სად და როგორ დაღუპა იგი.

ამ შემთხვევაში ისინი (ოჯახი, **ნათესავები—რედ)** არ გაწითლდებიან ახლობლების გამო, რომლებიც 1943 წლის 21 დეკემბერს დაღუპენ გერმანელ ტანკებთან სასტიკ ბრძოლაში, დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლის რაიონის საბჭოთა შეურნეობა „პობედას" ტერიტორიაზე და აქეს არიან დასაფლავებულნი".

ვასრულებთ ლეონიდ იგნატენკოს თხოვნას და ვბეჭდავთ ხედრო კომისარიატმა. დაღუპა 1. 01. 1944 წ. დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლის რაიონის სოფ. მენდელეევკაში. დედა—კანია (ნანი?)

ამ მეომართა ნათესავებს ვთხოვთ მოგვწერონ მისამართით. **ᲑᲒᲔᲔᲔᲔᲔ უკრაინის სსრ. ქ. ნიკოპოლი, კარლ ლიბკნეხტის ქ. №99 ბინა 7, ლეონიდ ალექსანდრეს ძე იგნატენკოს. (ჯგუფი „პოისკი").**

პოსტ სკრიპტუმ. საფოსტო ყუთში ვიპოვე დასახელება ლაჯანურჰესი, მაგრამ შეიძლება ლადგისია? იქნებ დაგაზუსტოთ, გეთაყვა.

„მადლიერებით იგნატენკო".

რედაქციისაგან: ვფიქრობთ, რომ სოფლის სახელწოდების დამახინჯება გამოიწვია ზოგიერთი რუსული ასოს მოხაზულობის მსგავსებამ და აქ უნდა იყოს არა ლადგისი, არამედ ლაჯანა.

დასაზუსტებელია არამარტო ეს სახელწოდება. ჩვენ კითხვის ნიშანი დავუსვით ყველა მათგანს. სავარაუდოა, რომ გვარი კნორგობია დამახინჯებული გიორგობიანია, ალოვიძე ალბათ ალავიძედ უნდა წავიკითხოთ, ხოლო საკირმა—საირმედ. რაც შეეხება სახელწოდება გუგუნიატს—ეს ღუღუნეთი ანუ ღუ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში ამის დადგენა ძნელი არ არის, ამ პიროვნებებს სოფლის მცხოვრებნი ადვილად გაიხსენებენ.

დასასრულს, თქვენი ყურადღება გვინდა მივაპყროთ წერილის მინაწერს. მოგვყავს იგი მთლიანად:

„მხოლოდ ამ ბრძოლაში დაიღუპა 30-ზე მეტი ქართველი ჯარისკაცი. როგორ ტყუიან ის ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სტალინმა გაანთავისუფლა საქართველო სამხედრო მოვალეობისაგან, უსამართლობაა!!!"

სწორედაც!

ქართული გვარების ლექსიკონის შედგენისათვის

ქართული გვარების შესწავლისათვის ამ ბოლო ათწლეულში დიდი მუშაობა გატარდა, რამდენიმე დაინტერესებულმა პირმა ფართოდ გაშალა მუშაობა. ზოგს შეკრებილი აქვს ათასობით ქართული გვარი, აღმოჩნდა ისეთი პირი, რომელსაც 20 000-მდე გვარი შეუკრებია და დაულაგებია ანკეტებით ანბანზე. ყველა ეს მუშაობა უკოორდინაციო არის. ერთეულებს კი მთელი ამ მუშაობის ჩატარება არ შეუძლიათ. ქართულ გვარებზე დღემდე გამოქვეყნებული მასალებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვლება ილია მაისურაძის 1981 წელს გამოცემული „ქართული გვარები".

ივ. ჯავახიშვილს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ქართული გვარების შესწავლა დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა. ხოლო ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი ა. შანიძე დიდი ხნის წინ წერდა: „ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს იგი ამოწურული მთელი სიგრძე-სიგანით. ეს მეტად საინტერესო უბანია ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული".

ამ გზაზე ჩვენ პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია თანამედროვე დავთრების მიხედვით, ქართულ გვართა ლექსიკონების შედგენა ცალკეული რაიონების, თუ ეთნიკური ერთეულების მიხედვით, რომელშიც ნაჩვენები იქნება, ყველა გვარი—საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, გვარში მცხოვრებთა რაოდენობის ჩვენებით.

ჩვენ ქართული გვარების ძირითადად შეგროვება და ნაწილობრივ შესწავლა 1968 წლიდან დავიწყეთ. შეგროვილია რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, იმერეთის და გურიის ნაჩვენებ დროში არსებული ყველა გვარი, რომლებიც რაიონების მიხედვით განლაგებულია ანბანზე. ნაჩვენებია ცალკეული გვარი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მცხოვრებთა რაოდენობა და სხვა.

ადამიანმა პირველად საკუთარი სახელი უწოდა მის ირგვლივ არსებულ გარემოს: მთებს, მინდორ-ველს, მდინარეებს... შემდეგ თვით ცალკეულ პიროვნებებსაც. ეს მაშინ მოხდა, როცა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ადამიანის საქმიანობამ, პრაქტიკამ, ამის საჭიროება დააყენა. როგორც ჩანს, ჯერ საზოგადო სახელებია შემოღებული, საგანთა ჯგუფების ერთმანეთისაგან განსხვავებისათვის, მაგალითად, ნადირი, ტყე, მთა, ხოლო შემდეგ საკუთარი სახელი შემოუღიათ, ცალკეული ინდივიდის მრავლიდან გამოყოფისათვის. ერთ დროს ასეთი საკუთარი სახელი საკმარისი იყო პიროვნების ცნობისათვის, მაგალითად, ჰომეროსი ჰესიოდე, პერიკლე, არისტოტელე, ესქიდე, ვირგილიუსი და მრავალი სხვა. უკვე ათასი წლები, ამ ერთი საკუთარი მახასიათებლებით იცნობენ მათ მილიონები. შემდგომ პიროვნების საკუთარი სახელები ორ ჯგუფად გაიყო-მამაკაცისა და დედაკაცთა სახელებად. მოსახლეობის გამრავლების გამო საკმარისი აღარ იყო მარტო საკუთარი სახელი. საჭირო შეიქმნა დამატებითი ნიშანი—მეორე სახელი, ეს სახელი საჭირო მითითებაა პიროვნების ვინაობაზე, იგი უმეტეს შემთხვევაში შემოფარგლა მამის სახელის მიმატებით საკუთარ სახელზე. ამრიგად, პიროვნება ორი ნიშნით გამოიყო ჯგუფისაგან—სახელით და მამის სახელით, საისტორიო წყაროები ამის ბევრ მაგალითს იძლევა. ახლად დამატებული მამის სახელი მიუთითებს ნათესაობაზე ძირითადი ინდივიდებისადმი, ამ შემთხვევაში საკუთარი სახელისადმი. ეს დამატებული მამის სახელი ყოველთვის ნათესაობით ბრუნვაშია მოქცეული. მაგალითად, „დავით ბაგრატის ძე". „ვარდან ჯიბუტის ძე", „სეხნია ჩხეტის ძე", „დავით მახარას ძე", „ბაკურ ბაკურის ძე" და ა. შ.

ამის შემდეგ

მოსახლეობის დაჩქარებულმა ზრდამ კვლავ მალე მოითხოვა პიროვნების ამ ორი სახელწოდებისათვის მესამე, განმასხვავებელი ნიშნის მიმატებაც, რომ განესხვავებინათ სეხნიები დასახლებულ ადგილებში, გვარ-ტომებში და ა. შ.

დამატებული მესამე ნიშანი კვლავ მამის სახელით წარმოგვიდგა და გვაქვს „ბაკურ ივანეს ძე ბაკურისძე", „დავით გიორგის ძე მახარასძე", და მსგავსი სხვა. ქართულ წყაროებში ასეთნაირად ასობით პირია მოხსენებული. მაგრამ წინათ და ახლად დამატებული მამის სახელები, ორივე ნათესაობით ბრუნვაშია მოქცეული, რაც ვერ ეგუება ერთმანეთს და წინა (ანუ ძველი მამის სახელი) კარგავს ნათესაობით ბრუნვის ნიშანს—ს და ვღებულობთ „ბაკურ ივანეს" ძე ბაკურიძეს (ან ბაკურაძეს), „დავით გიორგის ძე მახარაძეს" და ა. შ.

ასეთნაირად გვესახება ადამიანის საკუთარი სახელებიდან ქართული გვარების ფორმულირება.

ამ მესამე ნიშნის შემოღებით იწყება, თანამედროვე ქართული გვარების ჩასახვისა და სრულყოფის პროცესი.

ეს პროცესი დიდხანს, საუკუნეებს გრძელდებოდა. ერთი ფუძისაგან ხშირად გვაქვს რამდენიმე ან ათეულობით გვარი: ჩხეტის ძე, ჩხეტია, ჩხეტიანი, ჩხეიძე, ჩხაიძე. „ბერი"-საგან სამ ათეულზე მეტი გვარია წარმოებული. მცხოვრებთა რაოდენობით ყველაზე დიდი გვარი ჩანს, 70-იანი წლების მონაცემებით, მაისურაძე (7000-ზე მეტი), სიხარულიძე 3000-ზე მეტია მხოლოდ გურიაში.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული გვარია მჭედლობისაგან წარმოებული, ხოლო რუსეთში ივანოვი, კუზნეცოვი. დღეს მარტო მოსკოვში 160000-ზე მეტი ივანე ივანეს ძე ივანოვი ცხოვრობს, აქ უკვე დიდი ხანია საჭიროა გვარ-სახელის ახლანდელ სამ ნიშნიან წყობას, (გვარი, სახელი, მამის სახელი) კიდევ რაღაც ნიშანი დაემატოს, რომ პირი გამოიყოს მრავალი ათასი სეხნიისაგან.

ამრიგად, ქართული გვარების დიდი უმრავლესობა ჩვენს მიერ შეგროვილი 6894 გვარიდან, ორ მესამედზე მეტი ადამიანის საკუთარი სახელისაგან მომდინარეობს. გვარის ბევრი ფუძე-ძირი (ანუ საკუთარი სახელი) დაიკარგა. წერილობითმა ძეგლებმა ვერ შემოგვინახა. მათი მიგნება ზოგჯერ შეუძლებელია. საკუთარი სახელისაგან მიღებული ყველა გვარი „ძეთი" ან „შვილით" ბოლოვდება და მათი უმრავლესობა მამაკაცის საკუთარი სახელიდან მომდინარეობს. გვხვდება განსხვავებული ფორმებიც. მაგალითად, „ტი—სით", „ური-თ" დაბოლოებული გვარები: ჯიბუტი, ყღენტი, ხავთასი, შამანაური, ბექაური,. მაგრამ ეს დაბოლოებები იგივე „ძე" და „შვილის" ეკვივალენტურია.

ტოპონიმებისაგან მიღებული გვარები, ყოველთვის ბოლოვდება სადაურობის მწარმოებელი „ელ" ბოლოსართით, მაგალითად, ცაგერისაგან ცაგარელი (დიღმის მიკრორაიონში ცხოვრობენ). უნდა იყოს ცაგერელი. აბაშისაგან —აბაშელი, თუმცა „აბაშ" საკუთარი სახელიცაა.

იმერეთში ცაგარეიშვილები (ზოგი ცაგერეიშვილად იწერება, ცხოვრობენ—გვარი ცაგერიდან მომდინარეობს. უნდა იყოს ცაგერელისშვილები. ასეთივე გვარია ოყვრეშიძე—უნდა იყოს ოყვრეშელიძე. მათ ოყვრეშელობას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ ამ გვარის უხუცესნი, ყოველ წელს დადიოდნენ სოფელ ოყვრეშის სალოცავზე, ე. ი. კავშირი ჯერ არა აქვთ გაწყვეტილი ფუძე ადგილთან. ზოგი ასეთი გვარი, ორმაგ დაბოლოებიანია. მაგალითად, ქუთათელაძე—ელ და ძე თი. ქუთა კაცის სახელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ქუთა-ქუთაისის შემოკლებულია სახელია. მას ხომ ძველ წყაროებში კუტაიათ მოიხსენიებდნენ. ასეთი გვარის წარმოშობის გზაზე, პირველ შემთხვევაში გვექნება ქუთათელი, რაც ქუთაისელს ნიშნავს, ხოლო მეორე შემთხვევაში ძე დაემატა ქუთაისელის შთამომავლს და ვღებულობთ ქუთათელაძეს. ასეთივე გვარია მურცხვალაძე. ასეთივე ტიპის, მაგრამ არა ტოპონიმიკური და ორძირიანი გვარებია: მიქაბერიძე, გოგიბერიძე, ლოლაბერიძე. დროთა განმავლობაში ბევრი ტოპონიმებიც დაიკარგა და ახლა ძნელი ხდება ასეთი გვარებიდან ფუძე-ძირების გამოყოფა.

ქართულ ეთნიკურ შინაარსზე მიგვანიშნებს ბევრი გვარი, გურული, გურიელი, მესხი—მესხაძე, მესხიშვილი, კახეთელიძე, კახიძე, მეგრელიძე, მეგრელიშვილი.

საქართველოში მიღებული ქართული გვარი რუსიშვილი გურიაში ჩასახლებული ვინმე რუსისაგან არის წარმოშობილი, რომელსაც მეზობლები სახელად რუსს ეძახდნენ, წარმოიშვა გვარი რუსიშვილი (რუსიძე). გვხვდება პირუკუც—გვარისაგან მიღებული ტოპონიმებიც. გვარი ქისტაურისაგან სოფელი ქისტაური ახმეტის რაიონში, ხიდაშელისაგან სოფელი ხიდაშლები რაჭაში, კიკნაველიძისაგან—სოფელი კიკნაველიძე (იმერეთში) ლეჩხუმელი ჭაბუკიანისაგან—სოფელი ჭაბუკიანი, ლაგოდეხის რაიონში და ა. შ.

წოდება-თანამდებობიდან გვარის წარმოება, სხვა ქვეყნებში არ გვხვდება, ეს წესი ჩვენში კი დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულა, რაც კარგად შეუნიშნავს ა. დიუმას გასული საუკუნის შუა ხანებში, საქართველოში მოგზაურობის დროს. „ერისთავი, რაც დღეს საკუთარ სახელს (გვარს) წარმოადგენს, ოდესღაც კი იგი წოდება იყო და ნიშნავდა ხალხის მეთაურს. გვარები დაჩრდილეს წოდებებმა, რომლებიც დღეს ხმარებაშია. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამდებობები და წოდებები შთამომავლობითი იყო და სახელების მაგივრად, თანდათანობით შეეჩვივნენ დიდებულთა ხსენებას წოდებების მიხედვით". ასეთი გვარებია: ციხისთავი, მამასახლისი, მდივანი, მდივნიშვილი, ერისთავი და სხვა.

საკმაოდ ბევრ ქართულ გვარს ფონეტიკური სახე შეუცვლია მიგრაციის შედეგად. მაგალითად, ლეჩხუმში არსებული გვარის მანდარიას შესახებ გადმოცემა გვიამბობს, რომ ისინი სამეგრელოდან გადმოსახლებული მარღანიები არიან. სვანი კაპელიანისაგან და გურული კოპალაძისაგან წარმოიშვა გვარი კოპალიანი, ბურჯანაძისაგან—ბურჯალიანი. ზოგიერთი გვარი დროთა განმავლობაში ადგილზევე აძლევდა ახალ შტო-გვარს. 1517 წლის ერთ სიგელში (ს. კაკაბაძის ისტ. საბუთები, გვ 47. 1913 წ) წერია: „ბადრიძე კუირიკა და მისი შვილი", ხოლო შემდგომ ამისა იმავე რიგის, მომდევნო წლების საბუთებში ბადრიძე კვირიკას შთამომავალი „კუირიკაშვილად" იწოდება საბოლოოდ გვაქვს გვარი კვირკაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს კვირკაშვილები ადრე ბადრიძეები ყოფილან, ხოლო დასავლეთ საქართველოს (ლეჩხუმის) კვირკაშვილები შეიძლება დამოუკიდებელი წარმოშობისა იყოს.

ასევე ახალი გვარები ტოპონიმების გამოყენებითაც მიიღება, ეს ყოველთვის საცხოვრებლიდან გადასახლების შემდეგ ხდება, ადამიანები თავიანთი ვინაობის სადაურობას გვარით ინარჩუნებენ. მაგალითად, ლეჩხუმში არის აწ ნასოფლარი ლეშკაში, სადაც გოგებაშვილები ცხოვრობდნენ, ისინი ჩამოესახლენ მდინარე ლაჯანურის ხეობაში, მაგრამ აქ მოსახლეობის ნაწილმა შეიცვალა გვარი და დაწერა ლეშკაშელი. შემდეგ აქედან რამდენიმე ლეშკაშელი გადასახლდა სოჭის მხარეში — იქ. გვარმა ლეშკაშელმა ფორმა იცვალა და დღეს იწერებიან ლეშკაშვილებად, ხოლო თბილისში ახლა მცხოვრები ზოგი ლეშკაშელი ლეშკაშვილად იწერება.

ჭაბუკიანი კახეთში სოფლის სახელიცაა და გვარიც, ხოლო ლეჩხუმში 400 კაცი ამ გვარს ატარებს სოფელ დეხვირში. გვარის ძირი ჭაბუკი, ჭაბუკაა, რაც ახალგაზრდას ნიშნავს. სიტყვა ჭაბუკა სპარსულიდან შემოსულა და „სწრაფს" „მარდს" ნიშნავს.

ჭაბუკა ქართველებმა გამოიყენეს საკუთარ სახელად ან მეტსახელად და აქედან იმავე წესით იწარმოება გვარი, როგორც სხვა გვარები, ჭაბუკიანი ჭაბუკაშვილს, ჭაბუკაძეს ნიშნავს.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

კეთილ მგზავრობას ვუსურვებთ

არაერთი მადლობის, კმაყოფილების გრძნობის გამომხატველ სიტყვებს მოისმენთ „ცაგერი-თბილისის" ექსპრესული ავტობუსის მძღოლთა მისამართით. ამ რამდენიმე თვის განმავლობაში, რაც საავტობუსო მარშრუტი „ცაგერი-თბილისი" შედგა. მგზავრთა რიცხვი შესამჩნევად იზრდება. ნახევრად რბილი ავტობუსით მგზავრობა უმსუბუქებთ მათ იმ შორეული კილომეტრების გავლას. რაც რაიონს დედაქალაქთან აშორებს. მგზავრობის ხანგრძლივობა ექვს-შვიდ საათს მოიცავს.

ადამიანთა მარადიულ ტოლვას მშობლიური მხარისაკენ დაუკავშირდა შეგნება იმისა, რომ ერის სასიცოცხლო ძარღვი ქართულ სოფელში ფეთქავს. ლეჩხუმიდან წასულ ოჯახთა რიცხვი თბილისში თუ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში იზრდება, მათთვის მოსახერხებელია „ცაგერი-თბილისის" საავტობუსო მარშრუტით მგზავრობა.

ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო (თავმჯდომარე ანზორ ბურჯანაძე) არის ინიციატორი აღნიშნული სამგზავრო მარშრუტის დანიშვნის. „ცაგერი-თბილისის" ავტობუსს ემსახურებიან თბილისის ავტობაზა „ტურისტის" მძღოლები: დავით დავითულიანი, ბუხულა ონიანი, შოთა კილაძე, რომელთა პროფესიულ ოსტატობას ქებით მოიხსენიებენ მგზავრები.

გამოცდილ მძღოლთან, ტექნიკურად გამართულ ავტობუსთან ერთად, ბუნებრივია, კარგი საავტომობილო გზაც აუცილებელია, რაც არცთუ სახარბიელო გვაქვს. დღეს კი, მგზავრები იმ იმედით საზრდოობენ, რომ აღნიშნული სამგზავრო მარშრუტი ყოველდღიური, შეუფერხებელი და წარმატებული იქნება მგზავრთათვის, და კვლავაც მრავალი სამადლობელი გამოითქმება ექსპრეს „ცაგერი-თბილისის" ავტობუსის მომსახურე კოლექტივის მისამართით.

მშვიდობიან გზას, კეთილ მგზავრობას ვუსურვებთ!

ლ. ცხვედიანი.

12 ივლისს (29 ივნისი) აღინიშნება დღესასწაული წმინდა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი

პეტრე - პავლოზა

მართლმორწმუნე ქრისტიანთა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული პეტრე-პავლობა დაწესებულია ქრისტეს 12 მოციქულთა შორის უპირველესნის—პეტრესა და პავლეს სახსენებლად. ეს არის საყოველთაო უქმე დღე, რომლითაც მთავრდება ერთთვიანი მარხვა.

იოანე ნათლისმცემლის დატყვევების შემდეგ იესო გალილეას გაემგზავრა, დაემკვიდრა კაპერნაუმს და დაიწყო ქადაგება სინანულისა. „და როდესაც მოდიოდა იგი გალილეის ზღვის პირას, დაინახა ორი ძმა: სიმონი, პეტრედ წოდებული და მისი ძმა ანდრია, რომლებიც ბადეს ისროდნენ ზღვაში, ვინაიდან მეგადურები იყვნენ“ (სახარება მათესი, თავი 4; მუხლი 18). შემდგომ მათე მახარებელი გვიამბობს, როგორ შესთავაზა მათ ძემ ღვთისა, წაჰყოლოდნენ, რათა კაცთა მეგადურებად ექცია ისინი და როგორ მორჩილად გაჰყვნენ ძმები. სწორედ მეგადური სიმონი გახდა შემდეგ ქრისტეს უსაყვარლესი მოწაფე და მის მოციქულთა მეთაური. მათეს სახარების მიხედვით ქრისტემ მისცა მოციქულებს „ხელმწიფება უწმინდურ სულთა განდევნისა და ყოველგვარი სენის და ყოველგვარი უძლურების განკურნებისა. მოწაფეებთან დაჰყვებოდნენ ქრისტეს და თვითონაც ქადაგებდნენ მისი სწავლისამებრ. ახალი აღთქმის წიგნები გვიამბობენ, როგორ არყევდა მათ სულებს ეშვისა და შიშის ქარტეხილები, როგორ ირწმუნეს საბოლოოდ ღვთის ნება და ტანჯვითა და მოთმინებით მოიპოვეს ცათა სასუფეველი. დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი ქრისტესა და მის მოწაფეთა ცხოვრებიდან. ერთხელ ქრისტე ზღვისპირა მთაზე ლოცულობდა განმარტოებით, ხოლო მოწაფეები ღია ზღვაში გასულ ნავში ისხდნენ. პირქარი ქროდა და ტალღები ნავს ეხეთქებოდნენ. ლოცვის დამთავრების შემდეგ იესო ზღვით გაემართა ნავისაკენ. ზღვის ტალღებზე მომავალი მოძღვარი მოჩვენებად მიიღეს მოწაფეებმა. მაგრამ ქრისტემ გაამხნევა ისინი. პეტრემ თითქოსდა ირწმუნა უფლის სიტყვები და მოინდომა თავად მისულიყო მასთან, მაგრამ როცა ორც ჩანს, მაინც შეეშვა— „და გადმოვიდა პეტრე ნავიდან, რათა ზღვაზე სვლით მისულიყო იესოსთან.

მაგრამ რა იხილა ძლიერი ქარი, შეშინდა და ჩაძირვა იწყო, და შეჰღაღადა: უფალო, მიხსენ მე! მყისვე გაუწოდა ხელი იესომ, ჩასწიდა მას და უთხრა: მცირედ მორწმუნეო, რამ შეგაეჭვა?“

როგორც ჩანს, ქრისტეს მოწაფეთაგან არჩეულ 12 მოციქულს შორის მისგანვე პეტრედ წოდებული სიმონი უფრო მაძიებელი ბუნებისა იყო, ვიდრე დანარჩენნი. იგი ეძებს ღმერთს და პოულობს კიდეც, ყოველ შემთხვევაში აშკარაა უფლის სიმპათია მის მიმართ. ისევ მათეს სახარებას მოვიხმობთ ამის დასტურად:

„კვლავ ჰკითხა მათ (ქრისტემ მოწაფეებს—ი. ხ.): თქვენ თვითონ ვინღა გგონივართ მე?

სიმონმა, იმავე პეტრემ, მიუგო: შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმრთისა.

ხოლო იესომ პასუხად თქვა: ნეტარი ხარ, შენ, სიმონ, იონას ძეო, რადგან ხორცმა, სისხლმა კი არა გაგიცხადა ეს, არამედ მამამ ჩემმა ზეციურმა. და მე გეუბნები შენა ხარ კლდე, და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას, და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას.

და მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებს“. (მათე, 16, 15-19). ამით ქრისტემ თავიდანვე შერაცხა პეტრე მოციქულთა შორის უპირველესად, მიუხედავად იმისა, რომ ეს რჩეული მოწაფე ჯერ კიდევ არ ასულა იმ საფეხურზე, რწმენისათვის ტანჯვითა და მოთმინებით რომ მიიღწევა. როგორ იქცევა პეტრე ქრისტეს ჯვარცმამდე? იგი თავდაპირველად ურჩევს იესოს არ წავიდეს იერუსალიმს და არ მიეცეს ტანჯვას, რომელიც ღმერთმა დაუდგინა თავის საყვარელ ძეს, შემდეგ სთავაზობს კარვების აგებას და ცხოვრებას იმ მთაზე, სადაც იგი ღვთიური ნათლით გამოეცხადა მოწაფეებს. ქრისტე ორჯერვე უარყოფს ამ წინადადებებს, ხოლო საიდუმლო სერობის დროს იგი ასე მიმართავს პეტრეს: „...სიმონ, სიმონ! აჰა, სატანამ დააპირა თქვენი გაცხრილვა, როგორც ცხრილავენ ხორბალს.

მაგრამ მე ვილოცე შენთვის, რათა არ შემცირდეს შენი რწმენა, და როცა მოიქცევი, განამტკიცე შენი ძმები“ (ლუკა 22, 31-32).

იოანე მახარებელი ამ ეპიზოდს ასე განაგრძობს: „უთხრა მას სიმონ პეტრემ: უფალო, სადმიხვალ? მიუგო მას იესომ: სადაც მე მივალ შენ ვერ გამომყვები ამჟამად, არამედ შემდეგ გამომყვები.

უთხრა მას პეტრემ: უფალო, რატომ ვერ გამოგყვები ამჟამად? სულს დავდებ შენთვის.

მიუგო მას იესომ: სულს დაიდებ ჩემთვის? ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად გეუბნები შენ: მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფ მე (იოანე, 13, 36-38).

როგორც ცნობილია, ეს წინასწარმეტყველება ზუსტად ახდა—პეტრემ იმ ღამეს სამჯერ იუარა დატუსაღებული ქრისტეს ნაცნობობაც კი და მიხვდა თუ არა ამას, მწარედ ატირდა, მონანია.

ქრისტეს ცად ამაღლების შემდეგ პეტრემ უწინამძღვრა მოციქულებს და ყველგან იქადაგა ახალი რწმენა.

მაგრამ ვინ არის პავლე—პეტრესთან ერთად მოციქულთა თავად შერაცხული?

„მოციქულთა საქმე“ მოგვითხრობს, როგორ აწამეს სტეფანე, „სარწმუნოებითა და სულით წმინდით აღსავსე კაცი, რომელიც მოციქულთა ხელდასხმით ქადაგებდა ქრისტეს მცნებებს, „დიად ნიშებსა და სასწაულებს ახდენდა ხალხში“. ურწმუნოებმა განსაჯეს და ქვებით ჩაქოლეს იგი. ამ პროცესს ესწრებოდა ვინმე ჭაბუკი სავლე, რომელიც დევნიდა ქრისტეს მიმდევრებს. „ხოლო სავლე არბევდა ეკლესიას, იჭრებოდა სახლებში, გამოათრევდა კაცებს და ქალებს და საპყრობილეში ყრიდა“ (მოციქულთა საქმე, 8,3).

ეს მძვინვარე, დაუნდობელი კაცი სიკვდილს უქადდა ყველას, ვინც უფლის მოწაფედ აცხადებდა თავს, მაგრამ დახეთ ღვთის განგებას, სავლე იქცა ღვთის რჩეულ კაცად, რომელსაც დაეკისრა ყველაზე ძნელი—მისი სიტყვის ქადაგება წარმართთა შორის. აი, როგორ მოხდა ეს:

სავლემ მღვდელმთავართ გამოსთხოვა ნება შეეპყრო დამასკოს სინაგოგებში აღმოჩენილი ამ მოძღვრების ყველა მიმდევარი.

„და როცა გზად მიმავალი მიუახლოვდა დამასკოს, ანაზდეულად მოიცვა იგი ნათელმა ზეცით,

და დაეცა ... ხმა, ... ეუბნა: სავულ, რად მდევნი მე?

და თქვა: ვინა ხარ, შენ, უფალო? ხოლო უფალმა თქვა: მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი“ (მოციქულთა საქმე; 9; 3-5).

უფალმა უბრძანა მას შესულიყო ქალაქში და აღესრულებინა ღვთის ნება. ღვთიური ნათლით დაბრმავებული სავლე მომხდარით გაოგნებულმა მხლებლებმა დამასკოში შეიყვანეს. 3 დღე ვერაფერს ხედავდა, არც ჭამდა და არც სვამდა, სანამ არ ეახლა უფლის მიერ გამოგზავნილი ერთი მოწაფე, ანანია და თვალი არ აუხილა. სავლემ სრულიად ირწმუნა ღვთის სიტყვა და როგორც „მოციქულთა საქმე“ გადმოგვცემს, მოწაფეებთან ერთად დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება. ასე იქცა სავლე პავლედ მან გაუძლო არნახულ დევნას, ტანჯვას, სიკვდილის მუქარას და ქრისტეს სჯულზე მოაქცია ბევრი წარმართი, მოიარა მთელი ახლო აღმოსავლეთი, საბერძნეთი, რომი. პეტრეს მსგავსად იგი მრავალჯერ სასწაულებრივად გამოეხსნა საპყრობილიდან, რათა ათწილ და ასწილ უფრო ძლიერ ვნებულიყო ქრისტესათვის და შეესრულებინა ღვთის მიერ დაკისრებული მისია—მათი მეთაურობით ქრისტიანობის გავრცელება დედამიწაზე.

13 ივლისს, სვეტიცხოვლობა დღეს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მოიხსენიებს წმიდა დიდებულთა და ყოვლადქებულთა ათორმეტთა მოციქულთა. მასალას მათ შესახებ შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

პუბლიკაცია მოამზადა

ია ხმელიძემ.

ჯილოცავთ

ნინო, გიორგი კერვალიშვილებს
მერი, ტარიელ გუგავეებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი. კიდევ მრავალი შეგძინოთ ღმერთმა.

ბიჭიკო გუგავა, ეორა ხეცურიანი ოჯახებით.

ცარო, დავითის ასულ გუგავას
მირიან, გიტუს ძე მეშველიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. სიხარული, სითბო, სიყვარული ყოფილიყოს მისი ცხოვრების მეგზური.

თანაკლასელები.

გელით კოოპერატივი „ძულური“

ამიერიდან კურორტ ძულურის დამსვენებლებს უმასპინძლებს კოოპერატივი „ძულური“. ამჟამად კურორტი კეთილმოწყობილია, ერთდროულად შეუძლია მიიღოს 50 დამსვენებელი. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან დასვენებისათვის საჭირო პირობებით (ბინა, კვება).

სეზონი დაწყებულია და მზადა ვართ მივიღოთ დამსვენებლები.

კოოპერატივ „ძულურის“ ადმინისტრაცია.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

დედა ლოლა, მამა ბუჭუ, მეუღლე მარინე, რძალი მზია, ძმისშვილები თეა, როსტომი, სიმამრი დადაში გუგავა, ცოლისძმა დათო, ცოლისდები მანანა, მაია, ქვისლი ბორის სილაგაძე, სიძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი (ბაკა) ბუჭუს ძე ზურაბიანი.

დაკრძალვა 15 ივლისს, კვირას, ქ. ცაგერში. გამოსვენება დ. აღმაშენებლის ქ. №5

თამაზ, რამაზ კოპალიანები, ჯონი ხალიანი, სოზარ კვირკაშვილი, თამაზ ჩაკვეტაძე, ვაჟა, ვახტანგ საღინაძეები, გიგლა ლეთოდიანი, იაგო, ზაზა ყურაშვილები, რეზო შკუბულიანი, შამილ ლარცულიანი, ლევან ბერიძე, ზურაბ ჯამბურიძე თანაუგრძნობენ დალი, მირზა ლიპარტელიანებს მამისა და სიმამრის

სტავნიკო ამბროლიანის.

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ნოდარ, ეორა ხეცურიანები, ალიკო ირემაძე, ნოდარ მუშკუდიანი, ჯიმშერ ფოჩხიძე, რომან ჩარკვიანი, კაკო დავითულიანი, გიგა, სერგო მეიფარიანები, გოგუცა ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი (ბაკა) ბუჭუს ძე ზურაბიანი.

ამირან ასათიანი, ზაქრო საღინაძე, გია გვიშიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი (ბაკა) ზურაბიანი.

თანაკლასელები თანაუგრძნობენ ქეთინო კოპალიანს მამის

შალვა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

დავით, ეგნატე ზურაბიანები, ნუკრი ელბაქიძე, მურთაზ ღურჭუმალიძე, ვლასი ქარსელაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი (ბაკა) ბუჭუს ძე ზურაბიანი.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ონიანს დეიდის

თამარ ბიქტორის ასული ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

შვილები მთვარისა, შიო, ცირა, ჯიმშერი, ძმა დისიონი, და თინა, რძლები ნანა შალამბერიძე, ქეთინო გაბრიჭიძე, თინა ჩაკვეტაძე, სიძეები ჯემალ მახარობლიძე, თემურ ბურჯალიანი, ვიტალი ფრუიძე, შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუსტინე გაბრიელის ძე ახვლედიანი.

დაკრძალვა 15 ივლისს, კვირას, სოფ. ლაცორიაში.

ცაგერის საშუალო სკოლის 1978 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ლედი ხაბულიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი (ბაკა) ბუჭუს ძე ზურაბიანი.

ჯიმშერ ყვირილიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

აკაკი (ბაკა) ბუჭუს ძე ზურაბიანი.

რესტორან „ლეჩხუმის“ და ბარის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ზაურის ძე ცვარიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩხუტელის საშუალო სკოლის 1978 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი (ბაკა) ბუჭუს ძე ზურაბიანი.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.